წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. პარასკევი, 26 ივნისი 1915 წ. № 29

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეებს გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე), და ღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская, 4 поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## „ახალი კლუბის" მამასახლის. საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ 30 ამა ივნისს საღამოს 8 საათზე კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა

## საგანგებო კრება

**განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:**

1) ნახევარი წლის ანგარიში,
2) მიმდინარე საქმეები და
3) არჩევნები კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა.

პირველხარისხოვანი

## „კ ა ფ ე ბ ო რ დ ო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის** 9 საათიდან 12 საათამდე. **სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენერბური საჭმელები: ხარჩო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინვი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

## გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებელისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. **მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. 0—1

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

**კბილის ექიმი**

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

**ქ. გ ო რ შ ი**

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

# ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

## მიმოხილვა

უპირველესი და უმთავრესი მიზანი ავსტრო-გერმანელებისა არის მდინარე ვისლის ორივე ნაპირას, მისი ხეობის ჩაგდება ხელში. კერძოთ გერმანელებისთვის ამ მდინარის აღებას იმიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ მათ მისი აღების შემდეგ მისი გამაგრებისა და შენარჩუნებისთვის შეუძლიანთ მცირე ჯარი დასტოვონ და მთავარი ძალებით ისევ საფრანგეთს მიუბრუნდნენ. ეხლავე ხელთგდება ვისლისა სანდომირიდან ივანგოროდამდე მაინც მოპირდაპირესთვის საჭიროა კიდევ შემდეგ მოსაზრებით: ლიუბლინ-ხოლმისკენ მომავალ ჯარს საკვები გზები მეტის მეტად გაეჭიმა და გაუგრძელდა; ერთი ან ორი რკინის გზა, ისიც დასავლეთ გალიციიდან მომავალი რუსკა რავამდე, სადაც იგი თავდება, ჯერ ერთი ძალიან შორია, და მეორე—საკმარისიც არ არის. ამის გამო ჩრდილოეთისკენ მომავალი ჯარი სურსათისა და ეხლანდელ ხანგრძლივ ბრძოლისთვის საჭირო დიდძალ საომარ მასალის ნაკლებობას განიცდის. ამიტომ ცდილობენ გერმანელები ვისლის დაყოლებაზე მოედნის გაფართოვებას, რათა საკვები გზები გალიციიდან ვისლაზე გადმოიტანონ და კრაკოვ—სილეზიიდან კელცზე გაყოლებით ვისლის მარჯვენა ნაპირზე გამოჭიმონ უფრო მოკლე და მოხერხებული გზები, დიდი ბრძოლების შემდეგ მოპირდაპირემ 40 ვერსის მანძილზე ჩაიგდო ვისლის ორივე ნაპირი (სანდომირიდან იუზეფოვამდე) და ცდილობს ამ კარების გაშლა-გაფართოვებას. დღევანდელ დეპეშებიდან სჩანს, რომ სწორეთ იუზეფოვიდან აღმოსავლეთით სოფელ ურჟენდოვამდე 25 ვერსის მანძილზე მეტის მეტად გამწვავდა ბრძოლა, რომლის პირი ჯერაც არ შეცვლილა. იგი მიდის ისევ ლიუბლინ-ხოლმის რკინის გზის გასწვრივ 20—25 ვერსის მანძილზე ამ გზიდან, ხოლო სიგრძე თვითონ ბრძოლის პირისა გაჭიმულია 150 ვერსზე იუზეფოვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. იმდენად წვავე, და დიდმნიშვნელოვანია ეს ბრძოლა, რომ მისი ბედი არც ისე ადრე გამოირკვევა, თუმცა არც ისე გაჭიანურდება როგორც სანის ნაპირებზე მომხდარი გაუთავებელი ბრძოლა.

სხვაგან შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

მ. ბ—ლი.

## დ ე პ ე შ ე ბ ი

**პეტროგრადი, 24 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური მოხსენება. ვისლისა და ვეპრჟის შუა ლიუბლინის მიმართულებით 23 ივ. სასტიკი ბრძოლა მოხდა ს. იუზეფისა და ურჟენდოვთან. გერმანელთა დაჟინებული იერიშები, რომ მდინარე პოლლიპეს მარჯვენა ნაპირი დაეჭირათ, უშედეგოდ დარჩა. მდ. ურჟენდოვის ზემო ნაწილში გერმანელებს გააფთრებული იერიშები მიჰქონდათ ს. სკურიცე—ევუნინის რაიონში. კრასნიკის შოსეს გასწვრივ, მდ. ბისტრიცისა და კოსარჟევკასთან, რუსებმა კონტრიერიშები მიიტანეს. გერმანელები იძულებულნი გახდნენ თავდაცვაზე გადასულიყვნენ. საზოგადოდ მთელ ამ ფრონტზე ერთი დღის განმავლობაში 2 ათასი ტყვე ჩაუვარდათ რუსებს რამდენიმე ტყვიის მფრქვეველითურთ. კოსარჟკთან ვეპრჟამდე სოფ. გულვიჩევისა და ოლხოვეცის ჩრდილოეთით ტარნოგორის მახლობლად 23 ივ. დილით გერმანელები იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ ამაოდ, მათ ვერსად ვერ გაუმარჯვნიათ. ვეპრჟისა და დასავლეთ ბუგის შუა ცეცხლის ბრძოლაა. აქ გერმანელები სცდილობდნენ სოფ. მასლომენჩეს რაიონში გაჰრილიყვნენ გრებეშოვის სამხრეთით, მაგრამ ადვილად იქმნენ შეჩერებული. ლვოვის გზაზე ქალ. კამენკისა და გლინიანის შუა გერმანელებს იერიში მოჰქონდათ 22 ივნისს საღამოთი, იამნოს სამხრეთით მათ დიდძალ ჯარებს მოუყარეს თავი. მიუხედავად ამისა, მათ არსად არ გაუმარჯვნიათ. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. მხოლოდ ზოგიერთგან ჰხდება კერძო და შემთხვევითი შეტაკება, ცეცხლის ბრძოლა და მძაფრი სანაღმო ბრძოლა.**

**პარიზი.** საღამოს ოფიციალური განცხადება. ბრიტანიის ჯარმა მოიგერია რამდენიმე გერმანელთა კონტრ-იერიში იმ სანგარების წინააღმდეგ, რომელიც ბრიტანელებმა დაიკავეს წინაღამეს ვილკენის სამხრეთ-აღმოსავლეთით. გერმანელები ცეცხლის გამჩენ ყუმბარებს უშენდნენ არრასს. რამდენიმე ყუმბარა ჩამოვარდა აგრეთვე რეიმსში. არგონებში სწარმოებს მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა. მდინარე მაასის მარჯვენა ნაპირას ჩვენ დავიბრუნეთ ერთი ნაწილი იმ სანგრებისა, რომლებიც გერმანელებმა დაიკავეს 14 ივნისს. უკანასკნელის დასაბრუნებლად მტერმა მოიტანა რამდენიმე კონტრიერიში, მაგრამ უკუქცეულნი იქნენ დიდის ზარალით. ვოგეზებში გერმანელებმა გააძლიერეს საშინელი საარტილერიო ბრძოლა, რომელიც მიმართულია უფრო ფონტენელლზედ, გილგენფირსტზედ, გარტმანსზედ და ტანნზედ.

**რომი,** 23 ივნ. მთავარი ბინა იუწყება: ტიროლ-ტრენტინოს მიდამოებში მტერი ცდილობდა იერიში მოეტანა ფორჩელუზე და კოლდიმეცზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნა. კარნიის საზღვართან 22 ივნისს მტერმა იერიში მოიტანა, ჩვენ კონტრ-იერიშით უკუვაგდეთ ის დიდი ზარალით. ღლისით 22 ივნისს მტერმა საკმაო ძალებით იერიში მოიტანა პიცოავოსტანოზე, ამ პოზიცის მცველ იტალიის ჯარმა ახლო მოუშვა მტრის ქვეითა ჯარი და შემდეგ კონტრ-იერიშით უკუაგდო ის.

**სტოკჰოლმი,** 23 ივნისი. ბერლინიდან იუწყებიან: კავშირთა საბჭოს კანონ-პროექტი შეაქვს, აღინიშნოს შემოსავალ-გასავალი გერმანელთა ქვეყნის და მოწინააღმდეგე ქვეშევრდომთა შორის.

**სოფია,** 23 ივნისი. ეგზარხოსის დასამარხავად დიდი მზადებაა. გაზეთები ვრცელ წერილებს უძღვნიან ეროვნულ აღორძინებას, რომელსაც მთელის თავის არსებით იცავდა ეგზარხოსი. განსაკუთრებით ხაზს უსობენ მის ღვაწლს ბულგარეთისადმი.

**ნიუ-იორკი,** 23 ივნისი. მორგანის დამჭრელი გოლტი თავის მოკვლას ლამობდა, მას უნდოდა კარანდაშით ძარღვის გაწყვეტა.

**პარიზი,** 23 ივნ. აღმოსავლეთ ფრონტის სტრატეგიულ მდგომარეობის დაფასებაში „ტანი" სწერს: „მაკენზენის ჯარისთვის ჯერ კიდევ შესაძლოა დიდი მოულოდნელობა, სწორედ ამით აიხსნება ზედმეტ ენტუზიაზმის უქონლობა ბერლინში. ავსტრია-გერმანიის ჯარების კოლოსალურ გაძლიერებამ გალიციასა და პოლონეთში გერმანიას ვერ მისცა ის შედეგები, რასაც მოელოდა. რამოდენიმე ასი ათასი კაცის მსხვერპლს მხოლოდ ომის გაგრძელება მოჰყვა. დრო კი მოკავშირეთა სასარგებლოდ მუშაობს.

**პარიზი,** 23 ივნ. დილის ოფიციალური ცნობა. გასულ ღამეს ჩვენ ფრონტს დიდი სიცხოველე ეტყობოდა. ბელგიაში ვილკენის აღმოსავლეთით ბრიტანიის ჯარმა, ჩვენი არტილერიით გამაგრებულმა, ხელთ იგდო რამოდენიმე მტრის თხრილები. გააფრთებული ბრძოლა იყო სადგურ სუშესთან, რომელიც ბოლოს ჩვენ დაგვრჩა. მტერი მთელღამეს არრასს ზარბაზნებს უშენდა. მაასის მარჯვენა ნაპირზე მტერმა ორჯერ სცადა ჩვენ პოზიციაზე იერიშის მოტანა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა დიდის ზარალით. ლეპრეტრის ტყის რაიონში ტყის დასავლეთიდან ფეანგემდი მტერმა ორჯერ სცადა იერიშის მოტანა, მაგრამ შეჩერებულ იქმნა ჩვენი არტილერიის ცეცხლით.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბერნშტეინი, გააზი და კაუტსკი.**

„Frankf. Ztg." სწერს: მართალია ბავარიის მეფის სიტყვა შეუსაბამო იყო, მაგრამ საქმეს იმით არა ეშველება რა თუ სამმა სოციალ-დემოკრატმა წინადადება მისცა პარტიას—თავი გაითიშონ ბურჟერთა პარტიიდან. შეურიგებელი სოციალ-დემოკრატები და დოქტრინერები გაუსწორებელნი არიან. ომის გაგრძელება საუკეთესო საშუალება იქნება მტერს ვაგრძნობინოთ, რომ გერმანიაში ისევ ერთსულოვნობა მეფობს. Frankf- Ztg.-ს იმედი აქვს, რომ მიუხედავად დეკლარაციის დარწმუნებითი კილოსი, გერმანიის სოციალ-დემოკრატია არ გამოეხმაურება ამ მოწოდებას. შემდეგ გაზეთი ჰგმობს დეკლარაციის ავტორთ, რომ მათ ომს დაპყრობითი ხასიათი მიანიჭონ და სწერს: „ზავის ჩამოგდების დროს გამორკვევა საჭირო და ხელსაყრელია თუ არა გერმანიისთვის ამა თუ იმ ტერიტორიის შეძენა. მაგრამ სრულებით გულუბრყვილოდ მიგვაჩნია ყოველგვარ ანექსიის უარყოფა. რომ ბერნშტეინ-გააზის და კაუცკის შეხედულება იდეოლოგიით არის გამოწვეული, რომ ეს შეხედულება მარქსისტულიც არ არის, ეს დაგვიმტკიცა თავის ბროშიურაში რადიკალ-სოციალისტმა კუნომა".

**გერმანიის მოქმედება დასავლეთს ფრონტზე.**

კოპენჰაგენიდან მოსულ დეპეშის ცნობით გერმანელებმა სერიოზული ოპერაცია დაიწყეს დასავლეთის ფრონტზე, აგროვებენ დიდ სამხედრო ძალას მოკავშირეთა მარცხენა ფრთის წინააღმდეგ და ცდილობენ აქაც ის ტაქტიკური საშვალება იხმარონ, რითაც გალიციაში ისარგებლეს.

**გენერალ პოლივანოვის აზრი ზავის შესახებ.**

„რუსკ. სლოვ." კორესპონდენტისთვის გენერალ პოლივანოვს უთქვამს, რომ ზავის ჩამოგდებაზე ზედმეტია ლაპარაკი მანამდის, სანამ მტერი დამარცხებული არ იქნება. შემთხვევითი დამარცხება არ შეასუსტებს ჩვენს ენერგიას და ომი ხანგრძლივი იქნებაო.

**სომეხ დეპუტატის ზორაბის ჩამოხრჩობა.**

როგორც „რუსკ. სლ." ატყობინებენ, გერმანელთა მოთხოვნით ოსმალების პარლამენტის სომეხი დეპუტატი ზორაბი ჩამოუხრჩვიათ.

**ოსმალეთი და ბულგარეთი.**

იმავე გაზეთს სოფიიდან ატყობინებენ, რადისლავოვის მოლაპარაკემა ოსმალებთან ფრაკიის ნაწილის დათმობისა შესახებ ბულგარეთის სასარგებლოდ სასურველად ბოლოვდება. ოსმალეთი ბულგარეთს ტერიტორიას უთმობს, მხოლოდ უადრიანოპოლოდ.

**ტყვეებისთვის ხორცის შემცირება.**

„რუსკ. სლ." პეტროგრადიდან ატყობინებენ, რომ გენერალ პოლივანოვმა შეამცირა ტყვეებისთვის ხორცის რაოდენობა და 15 ათას ფუთიდან 9 ათასამდე ჩამოიყვანა.

**გადამწყვეტ ომის მოლოდინში.**

„რუსკ. ინვ." სწერს: ოპერაცია ჩვენ ფრონტზე განსაკუთრებითია და დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს საზღვარგარედ. ვისლა და დასავლეთ ბუგის შუა ბრძოლა გრანდიოზულ ხასიათს მიიღებს. დღემდი სამხედრო მიმომხილველნი იმ აზრისა იყვნენ, რომ რუსეთი რკინის გზებამდე დაიხევდა, რომელსაც ბრძოლის დაბოლოებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რკინის გზებიდან უკან დახევა ჩვენ არ დაგვჭირდება და ამას ადასტურებს ყველა მიმომხილველი. ლიუბლინ-ხოლმის ხაზით ბრძოლის დაუმთავრებლად უკან დახევაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამ ხაზზე კი რუსების დამარცხება ყოვლად შეუძლებელია.

„ნოვ. ვრემ." სწერს, ლიუბლინის რაიონიდან გერმანელებს არ შეეძლებათ წავსლა—კიდევაც რომ ძალიან მოინდომონ, ჩვენ მიერ შეჩერებულ იქმნებიან, რადგანაც ჩვენს ჯარს არამც თუ მარტო მოგერებითი მოქმედება შეუძლია, არამედ მზად არის გადამწყვეტ აქტიურ მოქმედებისთვის. ლიუბლინ-ხოლმის რაიონი უსასტიკეს ომის ასპარეზად იქცევა, ისეთ ომად, რომლის მზგავსი ჯერ არ გვინახავს.

**ოთხთა შეთანხმების მოლაპარაკება ბულგარეთთან.**

როგორც ვიცით, ბულგარეთმა წინადადება მისცა ოთხთა შეთანხმებას, რომ ის მხოლოდ იმ შემთხვევაში მიემხრობა, თუ ნებას მისცემენ ბულგარეთმა დაიჭიროს სერბიის მაკედონია, ან კიდევ თვით მოკავშირეთა ჯარს მოეხდინა სერბიის მაკედონიის ოკუპაცია. როგორც მოსალოდნელი იყო, მოკავშირეებმა უარი განაცხადეს ამ წინადადებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირენი დიდ მნიშვნელობას აძლევენ ბულგარეთის გამოსვლას ოსმალების წინააღმდეგ, ისინი მაინც არასოდეს არ დასთანხმდებიან დაარღვიონ სერბიის ტერიტორიის ხელშეუხებლობა.

ერთს და იმავე დროს ბულგარეთი ოსმალებთანაც მართავდა მოლაპარაკებას და, როგორც უკანასკნელი ცნობები გვიმტკიცებს, უკვე მომხდარა მათ შორის შეთანხმება.

## ერთა სოლიდარობა

. . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . .

. . . . . . „ეროვნული სოლიდარობა", აი ის სამართლიანი თეზისი, რომელიც წამოაყენა „სახალხომ", მაგრამ რომელსაც თვისი კონკრეტული გამოხატულება არ მისცა, ნამდვილად კი სწორედ ეს კონკრეტული ფორმები და მათ გარშემო არსებული პირობანი არიან საინტერესონი და არა თეორე-

ტიულად მოსაზრებული კარგი მცნება— „სოლიდარობა“.

ერთა შორის სოლიდარობა ყველაფერში,—უტოპია არის იმ დრომდე, ვიდრე არსებობს საზღვრების და მოსახლეობის იმგვარი ალუფხვა, როგორიც არის კავკასიაში, და სწარმოებს კურსი divida et imperat-ს და თუ ერთის მხრით მართალია ის მოსაზრება, რომ „კავკასიაში არც ერთი ერი არ არის ისეთი, რომელსაც თავისი ბუნებრივი მდგომარეობით და არა სხვა რომელიმე ხელოვნურად შექმნილი პირობების წყალობით, ჰეგემონია და ბატონობა შეეძლოს“,—მეორე მხრით ეს „ხელოვნურად შექმნილი პირობებიც“ არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს და, მაშასადამე, ლაპარაკი სოლიდარობაზედ სწორედ მაშინ, როცა ეს „ხელოვნურად შექმნილი პირობები“ აღწევენ აპოგეის ჩვენდა საზარალოდ—უტაქტობად უნდა ჩაითვალოს. რა კონკრეტულ საკითხების გამო შეიძლება დამყარდეს სოლიდარობა? მაშინ როდესაც ჩვენი ტერიტორიის საზღვრები გახსნილია და „ხელოვნურად შექმნილი პირობების“ წყალობით ჩვეულებრივი ტალღა გადმოსახლებულთა უზომოდ გაიზარდა ოსმალეთიდან და სპარსეთიდან გამოქცეულებით—შეიძლება ლაპარაკი მაგალითად **ამ საკითხში** სოლიდარობაზედ? ეს ხომ განმტკიცება იქნებოდა იმ უხამსი მცნებისა, რომელიც წამოაყენა იმავე „სახალხომ“ მაშინ, როდესაც ბრძოლა იყო გუბერნიების გადამიჯვნის შესახებ—**რეალური მოსახლეობის პრინციპი.** მაშინ ჩვენ აღვნიშნეთ,*) რომ შეუძლებელია რეალური მოცემული რუქა.

მოსახლეობის პრინციპით ხელმძღვანელობა იქ, საცა ეს მოსახლეობა ერთი ერის წარმომადგენლებისა, სახელდობრ სომხებისა, „ხელოვნურად შექმნილი პირობების გამო“ იზრდება **ჩვენის ხარჯით** და ჩვენს კისერზე. ჩვენ გვწამს რეალური მოსახლეობის პრინციპი იქ, საცა ამ მოსახლეობის გადასვლა-გადმოსვლა ბუნებრივად დამთავრებულია და ხელოვნურს ცვლილებას არ განიცდის. ჩვენ აღვნიშნეთ ისიც, რომ „სახალხოს“ წინამორბედნი ათის წლის წინად სულ სხვაგან ხედავდნენ რეალურ მოსახლეობის გასაყარ ხაზებს. შემდეგ, სიუხვისა გამო, გასცეს ბორჩალოს, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები და ვიკითხეთ, სად არის გარანტია რომ „არ მოვა არჩილი III“ და არ გადასწევს ამ საზღვარს ლიხის მთებს იქითაც. პასუხი არ მიგვიღია . . . . .

. . . . . . . .

. . . .

*) იხ. „კლდე“ 1914 წ. და მისი გა-

ავიღოთ მეორე კონკრეტული ფორმა სოლიდარობისა —ვაჭრობა-მრეწველობა, რომლის სადავეები ჩვენი ისტორიული კაცთმოყვარეობით გადავეცით სომხებს,—შესაძლებელია სოლიდარობა ამ ნიადაგზედ, საცა უკიდურესი ბრძოლა გვიხდება წარმოუდგენელ ექსპლუატაციასთან, რომელშიაც იხრჩობა ჩვენი მეურნე-გლეხი, უპირველესი ქვაკუთხედი ჩვენის ერისა? ეხლანდელმა ომმა განა უაღრესად არ გამოამჟღავნა საჭიროება საკუთარის ორგანიზაციისა კოოპერატიულის თუ ინდივიდუალურის წესით, ერთის მხრით—სპეკულიაციასთან ანგარიშ გასაწევად და მეორეს მხრით—გამწვავებულ ჩარჩობასთან? და განა შესაძლებელი ხდება სოლიდარობა ამ ნიადაგზე, საცა მტკიცე, კონკურენცია და სასტიკი ალაგმვაა საჭირო?

. . . . . . . .

. . . . . . . .

. . . . . . . .

. . . . . . . .

. . . . . . . .

. . . . . . ყველა ამის მცოდნე „სახალხო“ **დღეს** მღერის სოლიდარობაზედ და კი არ ამბობს თუ **რაში უნდა გამოიხატოს** ეს სოლიდარობა. ჩვენის აზრით, ეს სოლიდარობა დღეს ფაქტიურად მხოლოდ სხვებისთვის იქნება ხელსაყრელი, რადგან ჩვენის მხრით თავაზიანს სიჩუმეს მოითხოვს ყოველ უსამართლობაზედ და ჩვენ კარგად ვიცით სიჩუმეს პოლიტიკაში რა ფასიც აქვს.

ჩვენ აღარ ჩამოვთვლით ჯერჯერობით სხვა კონკრეტულ ასპარეზებს, საცა შესაძლებელია ან შეუძლებელი ჩვენი და სომხების შეთანხმება, მაგრამ უნდა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ „სახალხო ფურცელი“ იმეორებს სისხლში და ხორცში გამჯდარ, ქართულ ისტორიულ შეცდომას, რომლის განმეორება ერთხელა სცადეს სოციალ-დემოკრატებმაც: როცა თავისიანებთან რამე უთანხმოება მოუვათ, აქ სოლიდარობაზე ლაპარაკის მაგიერ—გარბიან უცხოსთან, თუნდა მოსისხლე მტერთან და იმისაგან ითხოვენ შველას. ბევრჯელ გაქცეულან უკმაყოფილონი ჩვენის ცხოვრებით სპარსეთსა და ოსმალეთში და იქიდან მოუყვანიათ „სამართალის აღმადგენელი“ ძალა;

ჩვენ ვერ შევწვდებით ისეთ „უმაღლეს მოთხოვნილებას“, რომელიც რევერანსებს აკეთებს ჟამსა განცდისასა.

**რ. გ.**

# სამშობლოს სიყვარული

(ინდივიდური აზრი)

III

მატერიალურ კეთილ-ყოფობას ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ და ვამბობთ, რომ იგი ქვაკუთხედია როგორც ინდივიდისა, აგრეთვე ერის კეთილწარმატებისთვის. მაგრამ აქვე უნდა დავუმატოთ, რომ მარტო მატერიალური კეთილყოფობა მხოლოდ აუცილებელი საძირკველია, რომელიც ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, თუ მაზე არ არის აშენებული ზედნაშენი უკეთილშობილესი ცხოვრებისა.

სწორედ ამ მოსაზრებით ჩვენ მილიონერებს, როგორც მხოლოდ მილიონერებს, არ ვაფასებთ და არც რამე ღირებულებას ვაძლევთ ეროვნულ ცხოვრებაში. თუ ის იგებს და მოგებულს ხარჯავს ერის საკეთილდღეოდ, როგორც ეს ხშირად ხდება, ამ შემთხვევაში არ შეგვიძლია ის, როგორც პიროვნება, ეროვნულ აქტივში არ ჩავრიცხოთ. მაგრამ აქაც ერთი რამ მოსაზრებაა მოსატანი. დასაფასებელია ის საშუალებანი, რომლებითაც მან სიმდიდრე შეიძინა. აი ამ საშუალების დაფასებაში საჭიროა მეტად ფრთხილად მოვიქცეთ. აქ ჩვენ ვერ ვიხელმძღვანელებთ უკიდურეს სოციალისტების თვალსაზრისით. საშუალებების დაფასებას ჩვენ დაუპირდაპირებთ იმ ღვაწლს, რომელიც მან ერის კეთილდღეობას დასდო—და თუ ეს ღვაწლი არამც თუ აინაზღაურებს, არამედ გადააჭარბებს მისგან ნახმარ საშვალებებს, მაშინ თამამად შეგვიძლია ჩავთვალოდ ის ერის სასარგებლო შვილად. (მზგავსი პიროვნება ჩვენშიაც მოიპოვება ერთი-ორი).

მაგრამ თუ პიროვნებამ (მხედველობაში გვაქვს მდიდარი) გადალახა ეს ექვილიბრიუმი და მხოლოდ საკუთარ „მე“-სთვის იღწვის და სამაგიერო ხარკს არ უბრუნებს საზოგადოებას, ერს, მაშინ ასეთი პიროვნება მავნებელია.—მას უნდა შევაგნებინოთ, რომ ის ეროვნულ თანამშრომლობისთვის არასასურველი და უღირსი მოქალაქეა. მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენ შეურიგებელი მტერი უნდა ვიყოთ „მეჯლანუაშვილი“-სებურ ფსიხოლოგიის ადამიანებისა.

ეროვნულ ცხოვრებაში განსაკუთრებითი ყურადღების ღირსნი არიან საზოგადოებრივი მოღვაწე—მეთაურნი. სასურველი და სასარგებლოა, რომ მოღვაწეს, მეთაურს შეძლება ჰქონდეს საზოგადო აზრის ხელმძღვანელობისა, განსაკუთრებით დემოკრატიაში. მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, ამისთვის საჭიროა ყველას შეძლება ჰქონდეს თავისი აზრი საჯაროდ გამოსთქვას.

მარტო მთავრობა არ გამოდის ამ საავისუფალ სიტყვის შემზღუდველად. ძალიან ხშირად ერთი ჯგუფი, ერთი პარტია ძალადობას ხმარობს მეორეზე და კისრულობს იმ ყოვლად უკადრის როლს, რომელსაც დღეს ყველა ჩვენთაგანი ჰგმობს. მაგალითისთვის საკმარისია გავიხსენოთ განმათავისუფლებელი მოძრაობიდან ზოგიერთი ეპიზოდი. საუკეთესო ეროვნული მოღვაწე ხშირად მოკლებულია ამ საშვალებას და იძულებულია ხალხის მაგიერ მხოლოდ თავისთავს ებაასოს. ხშირად კი, სამწუხაროდ, მჭერმეტყველობა იმარჯვებს და რომელიმე ენაჭარტალა ორატორს შეუძლიან მოლიპულ გზისაკენ გაიტაცოს ხალხი, ასეთი მოვლენა ერის პოლიტიკურ უსუსურობის მაჩვენებელია. მჭერმეტყველის თაყვანისცემა მხოლოდ იმიტომ, რომ ლამაზად ლაპარაკობს, მისი სიტყვების უკრიტიკოდ განაღდება, ვიმეორებთ, ნამდვილი პოლიტიკური სიბეცეა.

გაცილებით მეტს როლს თამაშობს ჟურნალისტი, მაგრამ ჟურნალისტის დაფასებაც, გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ორატორისა. ჟურნალისტს შეუძლიან დიდი ღვაწლი დასდოს ერს, მაგრამ მეორე მხრივ შეუძლია განუზომელი უბედურება მოახვიოს მას თავზე. ყოველი ჟურნალისტი, ყოველი მწერალი, ვისაც კი ოდნავ მაინც ესმის თავისი დანიშნულება, ვალდებულია ხმა აიმაღლოს თავის უღირს კოლეგის წინააღმდეგ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ კერძო პიროვნების უზნეობა მავნებელია საზოგადოებისთვის, მაგრამ თუ ასეთმა უზნეობამ ჟურნალ-გაზეთში მოიკალათა, მაშინ ხომ იგი დამღუპველია. სიცრუე, ცილისწამება, ჭორი, რომელიც ბეჭდვითი ორგანოდან ისმის, ხალხსა რყვნის და ათახსირებს. უსინდისო ნაწერებით დაცვა და ბოდიში ხომ სრულებით სპობს ზნეობას. სწორედ ამისთვის ჟურნალისტს განსაკუთრებით მეტი ზნეობრივი სიფაქიზე მართებს, ვიდრე სხვა ვინმეს.

საზოგადოდ კი ნამდვილ პატრიოტს, ნამდვილ მოქალაქეს ორი განსაკუთრებული თვისება უნდა ჰქონდეს: ეროვნული **გამჭრიახობა** და **პატიოსნება.** გარდა ამისა, ის უნდა იყოს ნამდვილი **მუშაკი,** და თუ გარემოებამ მოითხოვა, ნამდვილი **მებრძოლი.**

**ე. ალშიბაია.**

# პ რ ე ს ა

„უტრო როსიი“ ასე ახასიათებს რუსის საზოგადოების გუნების ცვლილებას დღიდან ომის დაწყებისა დღევანდლამდე:

პირველ გამარჯვებასა და ხალხის აღფრთოვანებას მოჰყვა წინანდელი ძველი ისევ გაისმა ომის დასაწყისს მიჩუმებული განსაკუთრებული კილო, ისევ თავი აიღო მაღლა თვითნებობამ და გაუმაძღრობამ. ჰაერი თანდათან იშხამებოდა და ყველამ ნელნელა „ჩვენებურ-ძველებურს“ მიჰყო ხელი. ბიუროკრატიამ კვლავ მოიგონა სისტემა ფეხის დაჭერისა და განახლა ბრძოლა საზოგადოებასთან; ზოგჯერ ადამიანი იფიქრებდა, რომ [illegible] დღევანდელი [illegible] ხანა და მთავრობის დიდებული მოვალეობა. ამავე დროს საზოგადოებაშიაც ისე გაჩნდა და გაძლიერდა ჩვეულებრივი „ინტელიგენტიზმი“, პოლიტიკანობა, ყბედობა და უკიდურესი ყურადღება და რწმენა ჩურჩულისა და ჭორისადმი, ხოლო ყველაზე უფრო სამწუხარო რუსეთის ცხოვრებაში ის იყო, რომ ასეთ დროს გამწვავდა ეროვნული ბრძოლა.

ბრძოლის ველი ნამდვილი და უტყუარი ბარომეტრია რუსეთის შინაურ პოლიტიკისა და საზოგადოების გუნებისა. ვინც კარგად აკვირდება ერთის გავლენას მეორეზე, ის შესაფერ დასკვნასაც გამოიტანს. გავიხსენოთ თუნდ პოლონეთის საკითხის განახლება, მინისტრების გამოცვლა და... თუნდ ასეთი საოცარი და თითქმის გაუგებარი ამბავი: პარტია ჭეშმარიტ რუსებისა, რომელსაც საფუძვლად ჰქონდა არარუსთა დევნა და შევიწროვება, პარტია მარკოვ-პურიშკევიჩ-ვოსტოროგოვისა უცებ თავისავე ხელით ანგრევს თავის საძირკველს და აცხადებს, რომ ამიერიდან ებრაელებისა და საზოგადოდ „ინოროდცების“ დევნაზე ხელს იღებს და... არარუსებს პარტიაშიც კი მიიღებს.

* * *

„რეჩ“-ში მოყვანილია რამდენიმე საკურიოზო მაგალითი ეხლანდელ სამხედრო ცენზორთა „მუშაობისა“.

სამართალი მოითხოვს იმის თქმას, რომ კიევის ცენზორებს სახიფათო მოქიშპენი ჰყავთ თბილისში. ამ ქალაქში ნებას არ აძლევდნენ ოფიციალურ „რუსკი ინვალიდიდან“ წერილების გადმობეჭდვისას; ერთი ცენზორი ნებას არ აძლევდა გაზეთს დაებეჭდა ამონაწერი საფრანგეთის მთავარ შტაბის მოხსენებისა, რომელიც გადმოცემული იყო ოფიციალურ პეტროგრადის სააგენტოს მიერ. სცადეს ცენზორის დარწმუნება, რომ ასეთი ამონაწერის დაბეჭდვა აკრძალული არ არის, მაგრამ მან მოკლეთ და დაბეჯითებით განაცხადა:

— რა საქმე მაქვს საფრანგეთის შტაბთან! ჩვენი მოკავშირეთა მოქმედების შესახებ წერა არ შეიძლება. საბედნიეროდ, თბილისში იყო ისეთი ავტორიტეტი, რომელმაც განუმარტა ამ ცენზორს, რომ მას სწორედ არ ესმის ინსტრუქცია.

ორიოდე მაგალითს ჩვენც მოვიყვანთ. ერთხელ ცენზორმა ამოშალა ცნობა იმის შესახებ, რომ დნესტრიდან ლვოვისკენ ექვსი გზა მიდის. მოსაზრება ალბად ასეთი ჰქონდა ცენზორს: ავსტრიელები ქართულ გაზეთიდან გაიგებენ, რომ ავსტრიისავე ქალაქში ავსტრიულ დნესტრიდან ექვსი გზა მიდისო და... შეიძლება რამ ხიფათი

# მოსე თოიძის მხატვრობის გამოფენა

(დასასრული)

III.

სადღეისო წერილში არ შევეხებით მთელს რიგს სურათებისა, რომელთა შესახებ რაიმეს თქმა ახალს რასმეს შეგვმატებდა. შესრულება, ფერთა ტონები, ხელოვნური კონტურები ერთგვარის სიხალისით იპყრობს თქვენს ყურადღებას. უეჭველია, ცალ-ცალკე რომ სადმე გვენახა გამოფენილი, უფრო ხანგრძლივ შევჩერდებოდით, თვითეული მათგანი უფრო მეტს შთაბეჭდილებას მოახდენდა, ვიდრე ისეთს შემთხვევაში, როდესაც სურათების მთელ სერიას მხოლოდ რამოდენიმე წუთით ვათვარიელებთ, გაკვრით, ხშირად ყურადღების მიპყრობასაც ვერ ვასწრებთ, როგორც არას ვეძებთ და ოდნავ ღირებულების შეფასებაში არა ვართ ამა თუ იმ გრანდიოზულ შენობათა დანახვის დროს ქალაქის ფართო ქუჩებში, მაშინ როდესაც ბევრად მდარე, ხშირად ერთი სართულის წამატება და კრამიტის გადახურვაა საჭირო სოფლად, რომ შევჩერდეთ და სიამით წამოვიძახოთ: რა მშვენიერია!

მშვენიერების მხრივ, როგორც ვსთქვი, მრავალი სურათი ერთის ჟანრითაა ნახატი. მაგალითად, სურათები „ქუჩა სპარსეთში“ (№15), „გოგოები აივანზე“ (№ 13), „ხეების ჩრდილ ქვეშ“ (№ 14), „სინათლე ტყეში“ (№ 16) და მრავალი სხვა პასტელით ნახატ „მესაიდუმლეს“ (№ 11) ჰაეროვნებითა და მიმზიდველობით ჰსუნთქვენ. თვითეული მათგანის ფორმათა ენა ფერთა ენას ნარნარებით გადაჰხლართვია და სრულს სიმფონიას გვიხატავენ.

შინაარსის სიდიადე და ფილოსოფიური გატაცება, როგორც სამარადისო ძიების სარბიელზე ნავარდი, გვამცნო „სასაფლაოში“ (№ 6). სურათის შინაარსი ისეთივე დიადია, როგორც „გარდაქმნის ტკივილები“: სასაფლაოზე ჭირისუფალნი დაძმარებულ სახით უხმოდ დაჰქვითინებენ სამარადისოდ დაკარგულს, ხოლო მის მოადგილე ახალი ხანის მედროშე, ახალ სარბიელის მაუწყებელი პატარა ბავშვი ცქრიალა სამოსელით დახტის სიღრმეში და სხივებთან დათამაშებს.

ამ სურათში განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ბუნებისთვის.

ბუნების ხატვაში სულ ცალკე სდგას ჩვენი მხატვარი. მის მიერ ბუნების ესთეტიური განჭვრეტა სწრაფად შესთვისებია მიზანშეწონილ შემოქმედებას. განცდა ბუნებისა უკანასკნელ წერტილამდე მხატვრულ ნაწარმოებში ჰპოვებს შესაფერს მიმღეობას და გარდმოცემას. მეტად რთული გრძნობათა შთაბეჭდილებანი და მათი ემპირიული საგნობრივი მნიშვნელობა ჩვენს მხატვარში იწვევს სასურველ ემოციებს და თანდათანობით მის ესთეტიურ ობიექტის სახეს იღებენ. აი, ამითი აიხსნება, რომ ბუნება მის ხელში ესთეტიურ ჭვრეტის ტრანსფორმაციად გარდაქცეულა. აიღეთ სანიმუშოდ „ღრუბლები მთის გარდალმა“, (№ 65), ანუ „ხეების ჩრდილ ქვეშ“ (№ 14). შეუძლებელია აქ ბუნების ემპირიულ შემეცნებაზე ილაპარაკოთ, როგორც ამას გვიდგენს ბუნებისმეტყველება. აქ ჩვენი მხატვრის ბუნება არ გახლავთ ბუნებისმეტყველის ბუნება, ვინაიდან სურათი იგი სრულებითაც არ შეესაბამება ჩვენს ემპირიულს ჭვრეტას. დააკვირდით თვითეულ ხეს (№ 14), დააკვირდით მათს კონტურებს, უცნაურ მოხაზულობას, უცნაურ მეტყველებას, პოზას, ისე მოსჩანს, თითქოს რაღაცა ფანტასტიურ სამეფოში შეჰყევხართ მხატვარს, სადაც თვითეული ხე ჰსუნთქავს, რაღაცა საიდუმლო მოძრაობასა ჰხატავს, ჰსცეკვს, კისკისებს. ეს გახლავთ ნეოიმპრესიონიზმის ნაკარნახევი ნიმუში. ჩვენს მხატვარს ზედმიწევნით შეუსწავლია კონტურების მკვეთრი ხაზები და ოსტატურად ჰსარგებლობს როგორც თვით ობიექტის გადმოსაცემად, ისე ჩრდილთა ტონების ცქრიალა ასათამაშებლად, ფოთოლთა ჩურჩულისა და სიცოცხლის ასაჩქეფებლად. აი, ამიტომ ჩრის, რომ მისი ბუნება არ შეიძლება ჩაითვალოს natura mort-ად, იგი უაღრესად სულდგმულია, სიცოცხლით ჰსუნთქავს, სიცოცხლის ფერხულს ჩვენთან ერთად ჩაჰბმია იგი...

მრავლად გამოფენილი ეტიუდები, ესკიზები, მართალია, ხშირად დამთავრებულს არას გვაძლევენ, ხშირად მხატვრის ღირსებას არასა ჰმატებენ, მაგრამ იქ ჩამოსხმული ზოგიერთა ხაზი იმდენად საყურადღებოა, რომ მათი გამოფენა სწორედ რომ ჰღირდა. თვითეული ესკიზი მისი ნიჭის მარაოს ფრთაა, რომელიც მორცხვად გიხატავთ თანამედროვე ხელოვნების ახირებულ პრინციპს, რომელსაც ხელოვნება მხოლოდ ხელოვნებისთვის სწამს! მართალია, ჩვენი მხატვარი სავსებით არ წარუტაცნია ამ პრინციპს, მაგრამ შორიდან რომ ეარშიყება და კეკლუცობს, ეს კი ცხადია. ეს კი სულ იმიტომ, რომ იგი უმთავრესად ფერადთა პოეტია, უყვარს ფერადებით რითმების ძებნა, ანცობა მკვირცხლ ფანტაზიასთან ერთად. „ბუნების წიაღზე“ (№ 43), „შემოღამება“ (№ 48), განსაკუთრებით „მზის ჩასვლა ქვიშხეთში“ (№ 96), ანუ „მომავალი სასძლო“ (№ 40) ამ პრინციპის საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. „მთვარის შუქი“-კი (№ 60) ერთგვარი ხატვის მანერაა âla რემბრანდტისა.

კოლორიტის სიუხვე, ფანტაზიის სიდიადე, შემოქმედების უნარი და ენერგია, რასაც ჩვენ ვხედავთ ამ მრავლად გამოფენილ ეტიუდ-ესკიზებში, იმედს აღგვიძრავს, რომ თოიძე ერთი მერცხალთაგანია ჩვენი რენესანსისა. ნუ ვიქმნებით მუდამ გულ-გატეხილნი და სკეპტიკნი: ნელ-ნელ ჩვენი დღეც მოახლოვდება. პოეზია-მუსიკა უფრო თვალსაჩინო იყო დღემდე, ახლა მხატვრობამაც ხმა ამოიღო და საკუთარი ნაბიჯის გადადგმით თავის ადგილი მოითხოვა. ნუ შეგვაშინებს ის აზრი, ვითომც თოიძეს იმპრესიონიზმის სკოლა მოგვტაცებს და **ჩვენად** ნაკლებად დაგვიგულებს. ეს მხოლოდ უბრალო შიშია თვით იმპერიონიზმისგან გამოწვეული. ჩვენ კი ეს არ გვაშინებს. ან რაა საშიში. საბოლოოდ იმპრესიონიზმი იმაზე მეტს ხომ არასა ჰღაღადებს, რასაც ჩვენს ენაზე „შთაბეჭდილებას“ უწოდებენ. Impreshion-ი მხოლოდ იმაზე გვითითებს, რომ ხელოვნება ეხლა უმთავრეს ყურადღებას საგნისა თუ მოვლენის პირველსავე შთაბეჭდილებას სტაცებს ხელს და ტილოზე გადმოაქვს. აქ საჭიროა მხოლოდ შთაბეჭდილებათა მახვილი გრადაცია, რომ გრძნობითი ელემენტებიდან ამოვარჩიოთ უფრო ძლიერი და დამახასიათებელი. ამ მხრივ თოიძე უკვე გამარჯვებულია. ფორმათა ენა, ფერადთა სწორი შეწონება მას ემარჯვება და, რაც უფრო ჩვენთვის სასურველია, ჩვენ შორისვე ჩაება, ჩვენთან, ჩვენშივე დატრიალებს და აქ დაეძებს შვების მომგვრელ წყაროს თვის მწყურვალე ხელოვნების ღმერთის გასაძლობად, დასაკმაყოფილებლად. დამშთვალ ტუჩთ უკვე დაჰბერა ნელმა და განმაგრილებელმა წყაროს ნიავმა. გული მისი უაღრესად ქართველის ღია გულია, ქართულად სცემს, ქართველის სწრაფი, მოუთმენელი ტემპერამენტით, დაუდგრომლობით და რწმენით. ჩვენი ძველი ქალაქის აღდგენა, ტიპები, პეისაჟები, ქუჩა, კუთხე, უბანი, ჩვენებური დღეობანი, ჩვენი ბუნების სიჯანსაღე, სული, ქართველის მაშვრალი სული და ტანჯვანი ღრმადაა განცდილი ჩვენი მხატვრის მიერ. მისი ფანტაზია ხშირად მელანქოლიის ლეჩაქად შემოვლებია ქართველის გულს. იგი უსაზღვროდ ჰსუნთქავს ჩვენი ერის სადღმრთო წარსულით, მან მწუხრ ფერადებით გვაჩვენა მეფე გიორგის მისვენება და მასთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მზის ჩასვენებაც, „სოლომონ და სოფიო“ № 42), ჩვენი „გელათი“, თვალწარმტაცი მიდამონი (№ 78), ხევსურთა არწივის საბუდარნი,—ყველა ეს ხომ ჩვენია, ჩვენი, ჩვენი სული და გული! მან თვალი დაგვიტკბო „ალაზნის ველის“ სიდიადით (№ 84), შეგვახედა „უფლის ციხის“ მღვიმეთა შორის (№ 19) და მით აღგვიდგინა წარსულ ცხოვრების ლეგენდები, გმირთა გამქრალი სული, რომელიც „არაგვისა“ და „მტკვრის“ ზვირთებში დღესაც მოიმღერს საიდუმლო ძლევის სიმღერას. აი ეს სარბიელი, ეს ცდა, ამ გზით სრბოლა ჩვენი მხატვრისა საუკეთესო თავდებია როგორც მისი უტყუარი მომავალისა, ისე ჩვენი იმედებისა, რომ იგი მარად ჩვენთან დარჩება, ჩვენშივე ივლის და ჩვენშივე აჰკრებს იმ მარგალიტ ფერებს, რასაც ჩვენი ისტორიის შარავანდედში შვიდ ფერად ვხედავთ მოელვარეს.

**დ. კასრაძე.**

მოხდესო. მეორეჯერ ცენზორმა ამოშალა ცნობა შესახებ იმისა, 1) რამდენიმე ას ვერსზე გაჭიმული და განთქმული პინსკის ჭაობები იწყობა ბრესტის მიდამოებში და 2) ხოლმიდან ბრესტამდე 130 ვერსია. და ამნაირმა გარემოებამ გამოიწვია ცენზორთა კონტროლიორის დანიშვნა.

# ახალი ამბავი

**სეირნობის შემოსავალი.** ქ. შ. წ. კ. კ. საზოგადოებას 21 ივნისის სეირნობიდან შემოუვიდა 2730 მან., დაიხარჯა 400 მანეთი, წმიდა შემოსავლის 10 პროცენტი, ე. ი. 233 მანეთი გადადებულია წმ. ნინოს ლაზარეთისათვის; დარჩა საზოგადოებას 2.097 მანეთი.

✦ **ილია ჭავჭავაძისეულ** მამულის დასათვალიერებლად 28 ივნისს საგურამოში მიემგზავრება ქ. შ. წ. გ. საზოგადოების წლიური კრების მიერ არჩეული განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ხსენებულ მამულის შემოსავალი გაადიდოს.

✦ **მცხოვრებთა რაოდენობა თბილისში.** ომიანობის გამო თბილისს დიდძალი ხალხი მოაწყდა, განსაკუთრებით დარბეული სომხები. ამის გამო მცხოვრებთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა თბილისში, მაგრამ დაახლოვებითაც არავინ იცის, რას უდრის ამ ჟამად ეს რიცხვი, რადგან გადმოხვეწილნი წიგნებში არ ეწერებოდნენ. პოლიცმეისტერს საჭირო მიაჩნია გამორკვევა შემოხიზნულთა ვინაობისა და ბოქაულებს ებრძანა ერთ დღეს ჩასწერონ ყველა მოსულთა ვინაობა განსაკუთრებულს ფურცლებში.

✦ **ახალი ბიბლიოტეკა.** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება ს. ველისციხეში ხსნის სახალხო ბიბლიოთეკას.

✦ **„დედა-ენის“ შესწორება.** იმ დადგენილების თანახმად, რომელიც გამოიტანა მიმდინარე წლის მაისში მომხდარმა მასწავლებელთა კრებამ, ქ. შ. წ. გ. საზოგადოებასთან არსებული სასკოლო სექცია შეუდგა ი. გოგებაშვილის „დედა-ენის“ შესწორებას.

✦ **ბათომი.** 21 ივნისს მოხდა ქალაქის ხმოსნების არჩევა. სულ არჩეულია ყველა ეროვნებიდან 41 ხმოსანი და 8 კანდიდატი. ხმოსანთა გვარებს ხვალ დავბეჭდავთ.

✦ **20,000 მ. ზარალის ანაზღაურებას** მოითხოვს ქალაქის თვითმართველობისაგან კარუსელის ქუჩაზე მცხოვრები შ. ა. მალაიანი, რადგან ქალაქმა წინდაწინვე არ იზრუნა ღვარის ჩასაშვები მანქანების გასაკეთებლად, რის გამოც ღვარმა შენობა დიდად დამიზარალაო.

✦ **შაქარი.** ქალაქმა ოთხი ვაგონი შაქარი მიიღო. ორი ვაგონი შაქარი იმავე დუქნებში გაიყიდება, რომელებშიაც წინად ქალაქის შაქარი იყიდებოდა, ხოლო ორი ვაგონი მოხელეებს და სხვა და სხვა დაწესებულებებს მიეყიდება.

✦ **ღვარისგან დაზარალებულთათვის** ქალაქმა 4000 მანეთი გადასდო.

✦ **ახალი აუდიტორია.** კავკასიელ ქალთა საზოგადოების ქართულმა სექციამ აუდიტორია გამართა ჭრა-კერვის უფასო სკოლაში (გაბაშვილის შესახვევი, სახლი № 6). მოწყობილია სცენა და გადაწყვეტილი აქვთ ყოველ კვირაობით გამართონ უფასო სახალხო დილა. მომავალ კვირას, 28 ივნისს, დილის 11 საათზე, ამ აუდიტორიაში უფასო სახალხო დილას ბუნდოვანი სურათებით მართავს ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებასთან არსებული სახალხო ბიბლიოთეკებისა და კითხვების სექცია. მონაწილეობას ღებულობს ბ-ნი ილია ნაკაშიძე, რომელიც ბუნდოვანი სურათების შინაარსს აუხსნის ბავშვებს და მარტივ შინაარსიან წერილების შინაარსს უამბობს.

✦ **ერობა კავკასიაში.** ი. გ. ალიბეგოვმა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წარუდგინა თავისი მოხსენება კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. მოხსენებაში ვრცლად არის განმარტებული ამ საკითხის ისტორია ჩვენში. ავტორი ამბობს, რომ თუ აქამდისინ სხვადასხვა დაბრკოლება ელობებოდა წინ საერობო რეფორმების განხორციელებას ჩვენში, ამ ჟამად თითონ მთავრობა სთვლის საჭიროდ საზოგადოებრივ ძალებსა და თვითშემოქმედებას დაემყაროსო. გარდა ამისა, ეს საკითხი იმდენად მომწიფებულია ჩვენში, რომ მის განხორციელებას ცხოვრება აშკარად თხოულობსო. ამიტომ ავტორი მოხსენებისა წინადადებას აძლევს სამეურნეო საზოგადოებას აღიმაღლოს ხმა და დაუყონებლივ მოითხოვოს ერობის შემოღება კავკასიაში.

✦ **თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი,** თავმჯდომარე ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების გამგეობისა და სასოფლო სამეურნეო ბანკისა, საზოგადო საქმეებისა გამო დღეს კახეთში მიემგზავრება ერთი კვირით.

✦ **კრება.** შაბათს, 27 ივნისს, სხდომა ექნება სატყეო-საბაღოსნო კომისიას. კრებამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი ალექსანდრეს ბაღის მოწესრიგების შესახებ, თანახმად უმართებულესის სენატის განკარგულებისა, და აგრეთვე უნდა განიხილოს თხოვნა ვერის პარკის იჯარადრის დიმიტრი დოლიძისა. ეს უკანასკნელი თხოულობს, რომ რადგან ნიაღვრებმა სულ ერთიან გაანადგურა პარკი და დიდი ზარალი ვნახე, ქალაქის თვითმართველობამ პარკში მოსასვლელი გზა გააკეთოს, ნავების საცურაო გუბე გასწმინდოს და ამასთანავე ძველი ვადა განმიახლოსო, ვინაიდან წელს პარკი სრულებით ველარ იმუშავებსო.

✦ **სანოვაგე.** 24 ივნისს მოტანილია თბილისში: ფქვილი 5 ვაგ., შაქარი 18 ვაგ., ფხვნილი შაქარი 5 ვაგ., სპიჩკა 1 ვაგ., კიტრი 1 ვაგ., მსხალი 1 ვაგ., ქერი 5 ვაგ., ბზე 2 ვაგ., ნავთი 3 ვაგ., ფიცარი 2 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., მახორკა 1 ვაგ., ჩაი 45 ფ., ყველი 52 ფ., წვანილეულობა 44 ყუთი, კვერცხი 145 ყუთი, ახალი თევზი 30 ყუთი.

✦ **განჯის ქალაქის გამგეობა** ეკითხება თბილისისას, ქალაქის ხმოსანს უჭირავს რაიმე ჯამაგირიანი თანამდებობა ქალაქის თვითმართველობაში თუ არა და ამ საკითხის შესახებ საბჭოს რაიმე დადგენილება თუ არსებობსო.

**ქუთაისი.**

✦ სიმონ ქვარიანის მაგიერ ქალაქის გამგეობის წევრს შემოდგომაზე აირჩევს საბჭო.

✦ **ვაგონების დათმობა.** ბ-ნი ქუთაისის გუბერნატორი შეჰპირდა დეპუტატ ჩხენკელს სოფელ საჯავახოელებს 5 ვაგონს დავუთმობ სიმინდის მოსატანადო.

✦ ქუთაისის ძველ საქველმოქმედო საზოგადოებას აქვს 210.000 მანეთის ქონება. საზოგადოებას ამჟამად მხოლოდ 20 წევრი ჰყავს, ამიტომ აზრად აქვთ საზოგადოების ლიკვიდაცია მოახდინონ და მთელი ქონება გადასცენ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას. ამ საგნის შესახებ 20 ივნისს უკვე სალიკვიდაციო კომისია აირჩია საზოგადოებამ.

**გურია**

ნიგოითიდან გვატყობინებენ, რომ ნიგოითის დამშეულ საზოგადოებას დაურიგეს 2,733 მანეთი. დარიგების დროს დიდი უწესრიგობა მოხდა; ის ოჯახი, რომელიც მეტად გაჭირვებულია და უმწეო მდგომარეობაში იმყოფება, უყურადღებოდ დასტოვეს. ვისაც დახმარებას უწევდნენ, სახელმწიფო გადასახადში ხარჯის ამკრეფნი უკანვე ართმევდნენ.

# თვითმართველობის შუამდგომლობა

უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც 16 ამა ივნისის თარიღით მიმართული იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სტს-სეკრეტრის გორემიკინისადმი, მოუწოდებს ქვეყნის ცოცხალ ძალას შეუერთდეს მთავრობას და მასთან ერთად სწიოს ჭაპანი სანამ გასაჭირი უდგას რუსეთს.

ერობათა კავშირმა და ქალაქთა კავშირმა თავისი მოქმედებით ამ მსოფლიო ომის დროს ნათელ ჰყვეს, თუ რა დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიან საზოგადოებრივ დაწესებულებათ ომისაგან დაზარალებულთა დამხმარე ორგანიზაციების მოწყობის საქმეში. ამ ასპარეზზე კავშირთა მოღვაწეობა ისეთი თვალსაჩინო შეიქმნა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა გაეფართოვებინა ფარგალი მათი მოქმედებისა და დაევალებინა, სხვა საზოგადოებრივ ელემენტებთან ერთად, ჯარისთვის ყველა საჭირო მასალა მიეწოდებინა.

ამ ფრიად მნიშვნელოვან დროს, ჩვენი მხარეც გრძნობს და საჭიროებს თავისი ძალღონე შეუერთოს მთავრობისა და რუსის ხალხის ძალღონეს საშინელს მტერზედ გამარჯვების საქმის მოწყობაში. ამიტომაც გვიდგა საჭიროება იმ საზოგადოებრივ დაწესებულებათა შესაძლებელ მოქმედებისა ევროპის რუსეთში. აუცილებელია ჩვენშიაც შემოღებულ იქმნეს საერობო დაწესებულებანი, რათა საზოგადოების ყველა კლასს შეძლება ჰქონდეს გაერთიანდეს მწყობრ საზოგადოებრივ მუშაობის ნიადაგზე სახელმწიფოსი და მის მცხოვრებთა ყველა ნაწილის სასარგებლოდ. დიდი ხანია, რაც ჩვენი ქვეყანა გრძნობს საერობო დაწესებულებათა საჭიროებას. უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ დაწესებულებათ არა ერთჯერ მიუმართავთ სათანადო ღონისძიებისათვის.

საერობო რეფორმის დაუხანებელ შემოღებას მოითხოვდენ თავად-აზნაურთა საკრებულონი, ქალაქთა მოურავებისა და ქალაქთა საზოგადო მოღვაწეების ყრილობები, ექიმთა და ბუნებისმეტყველთა ყრილობები, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოება თავისი განყოფილებებით. ამავე აზრს მხარი დაუჭირა სახელმწიფო სათათბირომ, როდესაც იგი იხილავდა საერობო ბეგრის და გადასახლების გაწესრიგების საქმეს ამიერ-კავკასიაში. საერობო დაწესებულებათა შემოღების სასურველობას აღნიშნავდა კავკასიაში მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის მოადგილე გრ. ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი როგორც თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში, აგრედვე იმ ცირკულიარებში, რომლებიც დაეგზავნა ამიერ კავკასიის გუბერნიების და ოლქების უფროსებს 1905 და 1909 წლებში. ამ ცირკულიარების ძალით მთელს მხარეში გაიმართა თათბირი მთავრობის კაცების და ადგილობრივ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მონაწილეობით. ყველა თათბირებზედ ხმის დიდის უმრავლესობით, თუ ერთხმად, გამოითქვა სურვილი, რაც შეიძლება ჩქარა შემოღოთ ჩვენშიაც საერობო თვითმართველობა. თან აღვუნიშნავთ საერობო ბიუჯეტის სწრაფლ ზრდა და ის გარემოებაც, რომ ყოველ წლობით რთულდებოდა საერობო მეურნეობა და რომ შეუძლებელი ხდებოდა მისი წარმოება ადგილობრივ მკვიდრთა საუკეთესო წევრების დაუხმარებლად.

ამიერ კავკასიაში საერობო ბეგარა და გასავალი ადის წლიურად, ამ უკანასკნელ დროს, 7 მილიონ მანეთამდე.

1914 წ. მეფის მოადგილის კანცელიარიის მიერ შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვით 1915—1917 წლებისათვის ნავარაუდევია:

I. შემოსავალი განაწილებულია:

| | შემოსავალი | | გასავალი |
|---|---|---|---|
| ა) დახმარება სახ. ხაზინიდან | 34.315 მ. | | |
| ბ) თავისუფ. ნაშთი | 235.600 მ. | | |
| II. ბეგარა განაწილებულია: | | | |
| თბილისის გუბ | 1.118.020 | მ. | 876.364 მ. |
| ზაქათალ. ოლქი | 72.832 | მ. | 96.611 „ |
| ქუთაისის გუბ. | 445.624 | „ | 659.800 „ |
| სუხუმის ოლქი | 139.021 | „ | 120.219 „ |
| ბათომის ოლქი | 135.330 | „ | 234.310 „ |
| ერევნის გუბ. | 689.480 | „ | 622.841 „ |
| განჯის გუბ. | 922.054 | „ | 824.320 „ |
| ყარსის ოლქი | 255.866 | „ | 290.187 „ |
| ბაქოს გუბ. | 2.168.562 | „ | 655.424 „ |
| დაღესტ. ოლქ. | 254.001 | „ | 157.424 „ |
| შავი ზღვ. გუბ. | 254.001 | „ | 157.424 „ |
| მთელი ამიერ კავკ. ხარჯი— | | | 1.647.414 „ |
| | | | 6.710.014 მ. |

ომის გამო ეს ხარჯთ-აღრიცხვა შეიცვალა. საპოლიციო დარაჯების შესანახი ხარჯის მეტი წილი საერობო თანხიდან დაიფარება.

საერობო თათბირი განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ჩვენს მხარეში 1909 წელს. ამ თათბირების მიერ შეკრებილი დიდძალი მასალა ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში იბეჭდება მეფის მოადგილის კანცელარიაში.

ყველა თათბირი მივიდა ამ დასკვნამდე:

კავკასიაში სრულიად მოიპოვება ყველა ელემენტი, რაიც საჭიროა 1864 წლის საერობო დებულების შემოსაღებად ჩვენს მხარეში. ამიერ კავკასიის გუბერნიების დიდ უმრავლესობაში მოქმედობს საერთო საგუბერნიო სამმართველო; აქაც იგივე კლასებია საზოგადოებისა, როგორც შიდა გუბერნიებში: თავად-აზნაური, სხვადასხვა მდგომარეობის მიწათმფლობელები, მოვაჭრე კლასი და ყმობისაგან განთავისუფლებული გლეხები. შეიძლება ჩვენშიც ზოგი ცვლილებით, გადმოინერგოს რუსეთის საერობო დაწესებულებები.

1909 წელს საზოგადოებრივი ელემენტები, რომლებიც დიდის ლოდინით მოიქანცნენ, შეუდგნენ პროექტის დამუშავებას. ამ პროექტებს მიზნად ჰქონდა, დაუხანებლად მიეწოდებინათ ჩვენი ქვეყნისთვის ან ის საერობო დებულება, რომელიც მოქმედებდა კიდეც რუსეთის ადგილებში, ანუ ის რეფორმა, რომელიც რუსეთის შიდა გუბერნიებში განხორციელების გზაზედ იდგა.

პროექტს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეჰქონდა ზოგი რამ ცვლილება ერობის საერთო დებულებაში, რაიცა ჩვენი ქვეყნის თავისებურობით იყო ნაკარნახევი.

საერობო დაწესებულება მთელს ამიერ კავკასიაში უნდა იქმნას შემოღებული, გამოუკლებლივ. ამ უკანასკნელ აზრის თანახმად არის შედგენილი მეფის მოადგილის 1909 31 მაისის ცირკულიარი. ამავ აზრს მიეკედლა ყველა საგუბერნიო თათბირი, რომლებიც შესდგა მთელს ამიერ კავკასიაში აღნიშნულ ცირკულიარის ძალით. ამავე აზრს იზიარებდნენ ამიერ კავკასიის გუბერნიებისა და ოლქების უფროსებიც, თუმცა ზოგი მათგანი ამასთანავე მოითხოვდნენ, რომ მთავრობას შერძენოდა ძლიერი ხელმწიფება (власть). პრესაში აქა-იქ გამოითქვა ის აზრი თითქოს შეუძლებელი იყო საერობო წესების შემოღება ამიერ კავკასიის იმ ადგილებში, საცა სამხედრო-სახალხო მართველობა მოქმედობს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთავრობას მორიგ საკითხად აქვს წამოყენებული ამ მართველობის გაუქმება.

განზრახულია, ადგილობრივ პირობების მიხედვით, კავკასიაში უფრო გაფართოვდეს საერობო დაწესებულებათა კომპეტენცია.

ცენზის შემცირებისა, ისე როგორც მისი ფორმის შეცვლის საკითხი, ნაგულისხმევია მეფის მოადგილის 1909 წ. 31 მაისის ცირკულიარში. საგუბერნიო თათბირებმა ეს საკითხი დადებითად გადასჭრეს, რადგანაც სახეში მიიღეს ჩვენში გავრცელებული წვრილი მიწათმფლობელობა იმ მიზნით, რომ საერობო საქმეში მცხოვრებთა შეუძლებელი ნაწილიც ჩაბმულიყო. ზოგი მომხრე იყო, ქონებრივი ცენზი სრულიად მოესპოთ და შემოეღოთ მის ნაცვლად განათლების ცენზი. განზრახულია დარჩეს ქონების მინიმალური ცენზი, რადგანაც მისი სრული გაუქმება რუსეთის კანონმდებლობის სულს ეწინააღმდეგებოდა და დააგვიანებდა კიდეც რეფორმების შემოღებას კავკასიაში. თათბირის პროექტში კურიებს ადგილი არ მიეცა, უმრავლესობის აზრის თანახმად. თათბირმა განდევნა თავის პროექტიდან საერთო—საამიერ-კავკასიო ერობა და წვრილი საერობო ერთეულიც იმ მიზნით, რომ კავკასიის მომავალი ერობა, თავის საფუძვლით, დაუახლოვდეს ევროპის რუსეთისერობათ ღ დაბეჯითებით მოითხოვდა რაც შეეხება საერობო დაწესებულებათა მოღვაწეობის თვალყურის დევნას, 1854 წლის საერობო დებულების გამოყენებას. (ეს რეფორმა სახელმ. სათათბიროს მორიგი საკითხია).

1909 წლის თათბირის დასკვნები სისტემაში მოიყვანა და დაბეჭდა გასულსა და მიმდინარე წელიწადს კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ჟურნალში („კავკასიის მეურნეობა“) ამ თათბირის ერთ-ერთმა მონაწილემ, თბილისის ქალაქის თვითმართველობის ხმოსანმა თავ. გ. მ. თუმანოვმა. შემდეგ ეს დასკვნები ცალკე წიგნებად გამოსცა იმავე საზოგადოებამ (საერობო თათბირთა შედეგები“, თბილისი 1911 წ.).

ამ დასკვნების მიხედვით ერობის პროექტი დაამუშავა და გამოაქვეყნა ხსენებულმა ხმოსანმა. ამ პროექტის მიხედვით ამიერ კავკასიის დიდი ქალაქები ცალკე საერობო ერთეულებად არის გამოყოფილი, რაიც რუსეთის უკანასკნელ წლების საკანონმდებლო პრაქტიკას შეეფერება.

ნათქვამიდან ისე როგორც საერობო თათბირთა მოქმედებიდან ნათლად სჩანს, რომ ჩვენი ქვეყანა სრულიად მომწიფებულია საერობო რეფორმის მისაღებად. ამას გარდა თბილისის ქალაქის თვითმართველობა ღრმად დარწმუნებულია, რომ დღეს ამიერ კავკასიაში ერობის შემოღება დიდად გაუადვილებს მთავრობას და ადგილობრივ მცხოვრებთ, პირნათლად შეასრულონ დღევანდელი ამბებით დანაკისრევი მოვალეობა.

ამ მოსაზრებით, თბილისის ქალაქის თვითმართველობა საჭიროდ სთვლის, თვითმართველობის უახლოებელეს სხდომაზედ, შემოიტანოს წინადადება რომ აღიძრას შუამდგომლობა კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ და გამოსთქვას სურვილი, რომ სათანადო პროექტი დაუყოვნებლივ წარდგენილ იქმნას საკანონმდებლო დაწესებულების უახლოეს სესიაში.

## რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საქმე?

[illegible]

III

როცა 1906—1907 წ. უწმინდეს სინოდთან არსებულ წინასწარ კრებაზედ საქართველოს ეკლესიის განახლება-თავისუფლების მოწინააღმდეგეთ ჩვენმა მღვდელმთავრებმა ლეონიდემ და კირიონმა ქართველ პროფესორებითურთ უტყუარი საბუთებით დაუმტკიცეს, რომ ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობა არავის მოუსპია კანონიერის გზით და არც შეეძლო მოესპო, რომ ეს საკითხი, პოლიტიკურ ვითარებათა ტრიალში მივიწყებული, დაჟინებით უცდის თავის ჯერსა და, ძალით მიყუჩებისა გამო დამახინჯებულმა, შეიძლება როდისმე სახიფათო სახე და მიმართულება მიიღოსო, ბუტკევიჩ-ვოსტორგოვის კამპანიამ სოფისტიურ მოსაზრებებს ბმიჰმართა. ავტოკეფალიის საკითხიო—ამბობდნენ ისინი—ღვიძლი შვილია იმ ქართველ სეპარატისტების გულისთქმათა, რომელთაც არ ეთაკილებათ რუსეთის მტრებთან ურთიერთობა, შეიარაღებულ აჯანყების მოხდენა და სხვანი [2]), ეს სულ რაღაცა მცირე ჯგუფის მისწრაფებაა, თორემ ქართველ საზოგადოებას მართლა რომ აინტერესებდეს ეს საკითხი, მაშ რატომ გულახდით არ სწერდნენ ამის შესახებ გაზეთებში და შესაფერისი დადგენილებანი არ გამოჰქონდათ დღემდის ქართველ ერის ფართო წრეებსა და დაწესებულებათო.

სწორედ ამაზე ითქმოდა: ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო. ის ცხონებულის შვილები თითქოს მემარჯვენენი და „ნამდვილი რუსები“ იყვნენ და ამავე დროს თითქოს რუსეთში „არც კი იყვნენ დაბადებულ-გაზრდილნი. თორემ განა ვერა ჰგრძნობდნენ თავიანთ გულის ხმის და სიტყვებ შორის წინააღმდეგობას! რა დასაჯერებელია, თითქოს არ იცოდნენ, რომ განსვენებულ ... ძე პობედონოსცევის სიცოცხლეში ასეთ საკითხებზე წერა არამც თუ პროვინციაში, და მერე კიდევ „სეპარატიულ“ საქართველოში, სატახტო ქალაქების ჟურნალ-გაზეთებშიაც კი შეუძლებელი იყო. შეუბრალებელ ცენზორის წითელ მელნისაგან ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი ოფიციალური ორგანოებიც კი იძულებულნი იყვნენ დუმილით გვერდი აექციათ მრავალ ნახულ-გაგონილისთვის და, თუ უკეთეს შემთხვევაში სინამდვილის ნასახს მიაწოდებდნენ მკითხველებს, სოფლის მკითხავივით ქარაგმებით და გაკვრით ლაპარაკობდნენ, საცოდავად ამახინჯებდნენ სრულიად უმანკო ცოცხალ აზრსა.

მოვიყვან ერთს უბრალო და დამახასიათებელ მაგალითსა.

1898 წელს საქართველოს ექსარხოსად გამწესებული მთავარ-ეპისკოპოსი, დღეს კიევის მიტროპოლიტი, ფლაბიანე სამხედრო გზით თბილისში მიემგზავრებოდა და ქ. დუშეთში შეჩერდა. აქ მას მიეგება ადგილობრივი საზოგადოება და მაშინდელმა დუშეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა გრიგოლ ადამის ძე ყარანგოზაშვილმა მიჰმართა სიტყვით, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგი სთქვა: „საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან რუსეთის ხელმწიფე იმპერატორები ნდობით და სიყვარულით ექცეოდნენ ქართველ ერს, მაგრამ მეფის ნების აღმასრულებელნი უმეტეს ნაწილად ვერ შეეფერებოდნენ თავიანთ დანიშნულებას (не стояли на высотѣ своего призванія) და ქართველი ერი აი ამიტომ გაღატაკდა სულიერად და და ქონებრივად. თქვენ ნახავთ რა მდგომარეობაშია ჩვენი ძველი ნაშთები, ხალხს არ ჰქონდა სამლოცველო ადგილები აღარა ჰყავდა ღირსეულნი ეკლესიის, მსახურნი და გადაეჩვია ლოცვა-ვედრებას“. ოფიციალურმა „კავკაზმა“ [3]) ეს, როგორც იტყვიან, „სრულიად კეთილსაიმედო“ ნაწილი ბ. ყარანგოზაშვილის სიტყვისა შემდეგ ნაირად გადასცა თავის მკითხველებს: „მოიხსენია რა ხელის შემშლელნი (неблагопріятныя) გარემოებანი, რომელთაც დამღუპველად იმოქმედეს ქართველ ერის სულიერ მდგომარეობაზედ, ბ. ყარანგოზაშვილმა განაგრძო“ და სხვანი...

როგორც ჰხედავთ, ბ. ყარანგოზაშვილის სიტყვები სინამდვილესთან შედარებით ზღვის ერთი წვეთილა იყო და

[1]) „საქართველო“ № 15 და 18.

[2]) ჟურნ. „Ц. Вѣд“. 1907 წ. № 8, გვ. 276.

[3]) გაზ. „Кавказъ“ 1898 წლ. 29 მარტი, № 83.

და ამ პაწაწინა სიმართლის მოხსენებაც კი ვერ იკისრა ყოვლად შემძლებელ ვე-ლიჩკოს ორგანომ. საგულისხმიეროა, რომ ბ. ყარანგოზაშვილის ნამდვილ სიტყვებს მხოლოდ ათი წლის შემდეგ, 1908 წელს, ეღირსა დაბეჭდვა. [4])

და ამ პირობებში აბა რომელი ჭკუათა მყოფი გაბედავდა ივერიის ეკლესიის თავისუფლების შესახებ გულახდილად ხმის ამოღებას, და თუ გაბედავდა, რა იმედი უნდა ჰქონოდა რომ სიტყვის თქმას დააცლიდნენ.

ყველა წოდებას და ჯგუფს უპირველეს ყოვლისა თავისი საკუთარი, წლობით დაყამებული, თავის-სამტვრევი საკითხები ჰქონდა და, მაშასადამე, ივერიის ეკლესიის საკითხი იმას უნდა ეტვირთნა, ვისაც იგი სხვაზედ მეტად შეეხებოდა,—ქართველ სამღვდელოებას. დაკნინებული სამღვდელოება კი, მიუხედავად დროთა განმავლობისა, ისევ იმ მონობაში იყო დარჩომილი, რომელშიაც იგი მეთვრამეტე საუკუნეში იმყოფებოდა, როდესაც გლეხს, მისი ნიჭის და მოწოდების მიუხედავად, სამღვდელო ხარისხი რომ ღირსებოდა, ამისათვის საჭირო იყო ან თავის ბატონს გაჰქცეოდა და სხვა მემამულეს შეჰხიზნებოდა გადაწყვეტილ პირობით, და ან იმდენი მიერთმია „კანონიერ ბატონისათვის“ ფეშქაშად, რასაც თავის სიცოცხლეში ვერ აიღებდა ვერავითარ ხელობით.

გადავარდა ბატონ-ყმობა. ბატონის ნაცვლად მთავრობა ჩადგა საქმის სათავეში. მაგრამ სურათი მხოლოდ ოდნავ შეიცვალა. ეხლაც, როგორც ბატონ-ყმობის დროს, მღვდელს ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე შეუწყვეტლივ უნდა ჰქონოდა საეხში მტანჯველი და დამამცირებელი კითხვები: რას იფიქრებს უფროსი? რა გუნებაზეა უფროსი? როგორ ესიამოვნება უფროსს? და სხვანი. ყოველი მეტი თუ ნაკლები, „უფროსის“ საზომ-საწყავთან შეუფერებელი საქმე და ფიქრც კი წყრომას და უბედურობას უქადდა.

და ამ დაჩაგრულმა ადამიანმა მხოლოდ ერთხელ გაბედა ადამიანურად ხმის ამოღება და ისიც სამწუხაროდ გათავდა, თუმცა დროთა ვითარება სულ სხვას ჰპირდებოდა. ეს იყო 1905 წელს, როდესაც 17 აპრილის უმაღლეს მანიფესტით ყოველ ქვეშევრდომს, საზოგადო კეთილზნეობისათვის მავნებელ მწვალებლებსაც კი ებოძათ სვინიდისის თავისუფლება: ვისაც როგორც გსურთ, ისე იწამეთ ღმერთი და ილოცეთ, ოღონდ კაცობრიობის და სამშობლოს სასარგებლო მოქალაქენი და მამულისშვილნი იყავითო.

მართლმადიდებელი ქართველი სამღვდელოება წელში გასწორდა, საკუთარ ტკივილებზე დაიკვნესა და რომ სხვისი იარებიც ენახა, ქალაქ თბილისს მოაშურა, მის აღმზრდელ სემინარიის ძველ შენობას. მაგრამ აქ ამ შენობის უფროსმა, თანამდებობით პატარა, მაგრამ უფლებით, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, დიდმა კაცმა, სემინარიის რექტორმა ერთი უკადრისი და არა-ქრისტიანული საქმე მოახდინა.

მაგრამ რომ საკუთარ გრძნობა-გონებით არ დავუბრუნდეთ ამ სამწუხარო მოგონებას, ვალაპარაკოთ 1906 წლის ყოველკვირეული სასულიერო გაზეთი „სიტყვა“. [5])

„დღეს, 31 მაისს,—სწერდა „სიტყვა“ 1906 წელს,—დაუვიწყარ მოვლენის წლის თავია. ამ საღამოს წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ბიუროკრატიამ იარაღით ხელში „ძლევა-მოსილი“ იერიში მიიტანა უმწეო და უიარაღო ქართველ სამღვდელოებაზე. დინჯად გადაჰყურებს არე-მარეს სემინარიის დაღვრემილი, მრავალ მწარე მოგონებათა მატარებელი შენობა,—ეს თავისებური სატუსაღო და გოლგოთა სასულიერო წოდების მოზარდ თაობისა. აქ შეკრებილა ბიუროკრატიის მიერ შემოღებულ უნიადაგო წესების წყალობით სოფლებიდგან გამოდევნილი სამღვდელოება, რომ გაუზიაროს ერთმანეთს თავისი ჭირ-ვარამი და მოისაზროს, რა საშუალებით უწამლოს სამშობლო ეკლესიის ღრმა წყლულებს და ზნეობრივ გათახსირებას. მან იპოვა კიდეც წამალი და გულ-ახდილად დაასახელა იგი: აეხსნას ეკლესიას ბიუროკრატიის ბორკილები და აღდგენილ იქმნას მისი ისტორიული უფლებანი. მაგრამ... „ყაზახები მოდიან!“—ჰყვირის ვიღაცა სასოწარკვეთილ ხმით—და უცებ ყველაფერი ერთმანეთში აირევა, როგორც მაჯლაჯუნით სხეულის სიზმარში გულშემზარავი სურათები. მხოლოდ მათრახების თხლაშუნი და ჯვაროსანთა კვნესა-გმინვა-ღა ისმის გარკვევით. დასასრულ, უდანაშაულოდ დასჯილი და ნაცემ-ნატყეპი ქართველი სამღვდელოება, აი რა უმაგალითო ფაქტს მოაგონებს ქართველ ერს 31 მაისი“...

„1905 წლის 31 მაისი ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს ეკლესიის მატიანეშიო“.—ასე ათავებს „სიტყვაში“ თავის წერილს სამწუხარო მოგონებათა ავტორი ბ. X.—

(შემდეგი იქნება)

**ახელი.**

---

[4]) გაზ. „Закавказье“ 1908 წლ. № 111.

[5]) გაზ. „სიტყვა“ 31 მაისი 1906 წ., № 1, გვ. 3.

# ოფიცერის წერილი

ჩემო მეგობარო!

მინდა მოკლედ შეგატყობინო ჩემი თავგადასავალი.

საქართველოდან წამოსვლისას რამდენიმე დღის შემდეგ პირდაპირ გალიციის ფრონტზე ამოვყავით თავი. პერემიშლის ახლოს დავბანაკდით.

შუა ღამე გადასული იყო, რომ რაღაც გუგუნი შემოგვესმა. რა ამბავიაო, კითხულობდნენ ქართველი ჯარისკაცები. ავიხედეთ მაღლა და რაღაცა ვარსკვლავისებური ხან ანათებდა და ხან ქრებოდა. თურმე ც[illegible]ლინი თავს დაგვტრიალებდა, ქალ[illegible] ათვალიერებდა თუ ჩვენს ბანაკს, დანამდვილებით არ ვიცი. გათენებისას მზვერავნი დაბრუნდნენ და მოიტანეს ამბავი, გერმანელთა არტილერია მოახლოვდაო! ერთი ქართველი მზვერავი გზაში გერმანელების მზვერავებს წასწყდომოდა. შეპყრობა მოენდომებინათ, მაგრამ ქართველი გამოსხლტოდათ, და გამოქცეული იგი მხარში დაეჭრათ.

განთიადისას ასტყდა საშინელი სროლა. ცა იქცეოდა, დედამიწა ზანზარებდა. ქვა, ხე, მიწა ერთმანეთში აირია. ზარბაზნის გრიალისგან არაფერი მესმოდა. ვხედავდი ცეცხლის განუწყვეტელ ალს. მოდიოდა, გველივით მოიხლაკნებოდა. სწვავდა და ანადგურებდა ყველაფერს. ნაძვის ხეებს ძირიანად ჰგლეჯავდა: თხრილებს აბრუნებდა. საშინელება რამ ხდებოდა. ვერ წარმოიდგენ. ჩვენც პასუხს ვაძლევდით. ვხედავდი ჩემს გარშემო ყუმბარა ხან ერთ ალაგას გასქდებოდა და ხან მეორე ალაგას. ქართველი ჯარისკაცები მეხვივნენ გარშემო. ერთი მათ შორის მეტის მეტად ოხუნჯი და მასხარა იყო. წარმოიდგინე, ამ საშინელების დროს იგი თავის ოხუნჯობას არ იშლიდა და ამხანაგებს უყვიროდა: მაგრა სქდება ბიჭებო, ნუ გეშინიანთო—მომიბრუნდა მე და წაიბუტბუტა: ეს ჰარამზადები, როგორ პანტასავით ისვრიანო. სთქვა თუ არა ეს, მოხვდა ტყვია საწყალს და მძიმე-მძიმედ ჩაიჩოქა, თან მე მიყურებდა, თითქოს მანიშნებდა—ჩემს მშობლებს შეატყობინეო. მივიხედე, ჩემს ირგვლივ სხვა ჯარისკაცებიც ფორთხალებდნენ. გუნებაში ვსთქვი შოთას ლექსი: „ვაჰ სოფელო რა შიგან ხარ რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა? სადაურსა სად წაიყვან“...

ჯერ დავიბენ, მერე გონს მოველ, გამებრაზა. ამოვეფარე ერთ ქვას და თვალიერება დავიწყე; შევნიშნე გადაღმა გერმანელების წვეტიანი ჩაჩქნები. მე მეპარებოდნენ, ალბად შეპყრობა უნდოდათ ჩვენი. ამოვიღე ნიშანში და რამდენჯერმე ვისროლე. ვგრძნობდი რომ ნიშანში ამოღებულს ხვდებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემს თოფს ტყვია მოჰხვდა და ლულა ოთხად მომიგრიხა. ავიღე ჩვენი ხუმარა ჯარისკაცის თოფი და სროლა მით განვაგრძე. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველაფერი დაბნელდა. მივსუსტდი, რაღაც მოსვენებას ვგრძნობდი. შემდეგ გონება დამეკარგა. მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა სანიტარებს ლაზარეთში მივყავდი. მსუბუქად მხარსა და თეძოში დავჭრილიყავ, მე ვგონებ მალე მოვრჩები.

წინა დღით ქართველი ჯარისკაცები მეხვეწებოდნენ: ბატონო, ჩვენ შენთან წამოვალთ. შენთან ვიბრძოლებთო. მთელს რაზმში მეტი წილი ქართველი მყავდნენ. მამაცურად იბრძოდნენ და ყიჟინით გადადიოდნენ. ეხლა რომ მაგონდება, გული მიკვდება, რაოდენი ვაჟკაცობა შესძლებიათ! არ ვიცი, გადარჩნენ თუ ტყვედ წაიყვანეს. ლაზარეთში გავიგე რომ რუსებს აუარებელი ჯარი მოჰშველებოდა, მაგრამ ბრძანება ყოფილიყო, პერემიშლიდან უკან დაიხიეთო. დანარჩენ ამბავს დაწვრილებით ვერ მოგწერ და რისაც ნება მექნება შეგატყობინებ. გამარჯვებით!

შენი . . . .

# პოლონეთში

„ბირჟ. ვედ.“ შუმანსკი ვარშავის ევაკუაციაზე სწერს, რომ შემცდარია ის აზრი თითქოს ლვოვის ევაკუაცია და ვარშავის ევაკუაციათა შორის შესაძლო იყოს პარალელის გაყვანა. მისი აზრით, ვარშავის ევაკუაცია, ვარშავის გაწმენდის წინამორბედი არ არის. შემდეგ ავტორი ამტკიცებს, რომ ლვოვის გაწმენდა განსაკუთრებით აქტიურ თავდაცვისთვის იყო საჭირო, მაშინ როდესაც ვარშავის გაწმენდა უდრის ვისლის ხაზის დაკარგვას. ამ ხაზის წყალობით ჩვენ თერთმეტი თვე წინააღმდეგობას ვუწევდით მტერს მიუხედავად მისი ხაზის გარღვევის გააფთრებული სურვილისა. ეს ხაზი რომ მტერს ჩაუვარდეს, ის აღმოსავლეთის ფრონტზე უზრუნველყოფილი იქნება დამარცხებისგან. ასეთი მდგომარეობა კი მოკავშირეთა სტრატეგიაში არ შედის, რადგანაც მაშინ გერმანიას შეეძლება მთელი თავის ძალღონით საფრანგეთს დაეტაკოს, დაამარცხოს ის და შემდეგ მხოლოდ რუსებთან იბრძოლოს. სწორედ ამისთვის ვარშავის გაწმენდამდე და ვისლის ხაზის მიტოვებამდე დიდი და საშინელ ბრძოლების მოწმე შევიქნებით. ვარშავის ევაკუაცია იმით აიხსნება, რომ მოსალოდნელ ბრძოლაში ვარშავა ფრონტად ხდება. ვარშავის გაწმენდამდე ჯერ დიდი დროა.

—

უკანასკნელად გერმანელთა ჰაეროპლანებიდან ვარშავაში ფურცლები ჩამოჰყარეს: „ერთ თვეში ვარშავა აღებული იქნებაო“. (ბ. ვ.)

ჰინდენბურგს განკარგულება მოუხდენია, რომლის თანახმად ყველა მაღაზიები და დუქნები მხოლოდ საღამოს 9 საათამდე შეიძლება ღია იყოსო, ხოლო კინემატოგრაფები, წარმოდგენა და კონცერტები უნდა 9 ნახ. საათ. დათავდესო. მარტო რესტორანებს და სასტუმროებს შეუძლიანთ ღამის სრულ 10 საათ. დარჩენა. ქუჩაში ღამის ათი საათის შემდეგ მხოლოდ მათ შეეძლებათ გავლა, ვისაც ამისი მოწმობა ექნებაო. (ბ. ვ.)

—

ტარნოვში შესვლისას ავსტრიელები შესდგომიან დასჯას. ქალაქში გამოუკრავთ განცხადება, რომ სამხედრო საველე სასამართლომ პოდპოლკოვნიკ იუზეფბრემის თავმჯდომარეობით სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა 8 პირს, მათ შორის ტარნოვის პროფესორს ბოლესლავ ლაზარსკის. ლაზარსკის ბრალსა სდებენ, რომ მან საჯაროდ რუსები ქებით მოიხსენიაო. ერთს კრებაზე მას უთქვია, ავსტრიას მომავალი არა აქვსო, ხოლო პერემიშლის დაცემის შემდეგ რუს ოფიცერთა საზოგადოებასთან ერთად ავტომობილით გაემგზავრა ტარნოვში სამადლობელ პარაკლისის გადასახდელად. დანარჩენნი სრულიად უმნიშვნელო ამბებისათვის დაუსჯიათ. (ბ. ვ.)

—

ამ დღეებში პეტროკოვიდან ვარშავაში მოუტანიათ გაზეთების სია, რომელთაც ვარშავის აღების უმალ დაჰკეტავენ. ამის გარდა გამოქვეყნებულია მთელი სია იმ პირებისა, რომელთაც სიკვდილით დასჯა ელისთ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მტრული განწყობილება გამოუჩენიათ გერმანელებისადმი. სიაში განსაკუთრებით საზოგადო მოღვაწეთა სახელი და გვარია ჩამოთვლილი (ბ. ვ.)

—

ლოძში მარტო ერთ პეტროკოვის ქუჩაზე 500 მეტი დაიჭირეს საგანგებო განკარგულების დარღვევის გამო. ლოძში 200 ათასი უმუშევარი ხელია. ყველას ქალაქი ინახავს თავისი ხარჯით, დღეში ხარჯი მოდის 75 ათასი მანეთი (ბ. ვ.)

—

ცნობები მოვიდა, რომ დაჭერილ ადგილებში გერმანელები მოითხოვენ 5 ხელეურიდან ოთხი გერმანელთათვისაც უნდა გადაიდოს, ხოლო მეხუთე მცხოვრებლებისთვისო. მკაც მხოლოდ გერმანელთა ნებართვით შეიძლება. (ბ. ვ.)

—

ახალი ცნობების მიხედვით გალიციის დაჭერის შემდეგ ავსტრიელები სასტიკ შურისა სძიობენ პოლონელებზე, რომელნიც რუსებს კარგ განწყობილებით შეჰხვდნენ. მკაცრ სასჯელების გარდა კერძო პირებზე ავსტრიის მთავრობას სასტიკი რეპრესიული ზომები მიუღია საზოგადოდ პოლონელების წინააღმდეგ. სხვათა შორის აკრძალულია პოლონური ენა ტელეგრამებში, მაშინ, როდესაც ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებსაც კი ნებასა რთავენ ხმარებულ იქმნენ. (ბ. ვ.)

—

გერმანიის უმაღლეს მთავრობას განკარგულებანი მოუხდენია დაპყრობილ პოლონეთში, რომელთა თანახმად ფოსტით კერძო პირებსაც შეუძლიანთ ისარგებლონ: გერმანიიდან პოლონეთში და პოლონეთიდან გერმანიაში შეიძლება წერილების მიღება და ტელეგრამების გაგზავნა 15 სიტყვამდე. ფულად შეიძლება 100 მარკა გამოიგზავნოს 60 მანეთად. ტელეგრამების ფასი სამჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი. (ბ. ვ.)

# ჩვენი ცხოვრება

**ოზურგეთი.** ოზურგეთიდან გვატყობინებენ, რომ დეპუტატ ჩხენკელის თავგამოდებითმა შრომამ დამშეულთათვის სანოვაგის საშოვნელად დიდი ნაყოფი გამოიღოო. ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციამ დეპუტატ ჩხენკელის შუამდგომლობით ხელმეორედ გაგზავნა ოზურგეთის მაზრაში გუბერნიის სამმართველოს წევრი სტატ. სოვ. მიხაილოვი დამშეულთა და გაჭირვებულთა მდგომარეობის გამოსარკვევად. ამ გაგზავნამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ქუთაისის საგუბერნიო მართველობამ ოზურგეთის მაზრის უფროსს მოსთხოვა, რათა ადგილობრივმა დამხმარე კომიტეტმა მას გამოუგზავნოს სია ყველა სოფლების გაჭირვებულ გლეხკაცებისა.

ამ კომიტეტმა ჯერ კიდევ თებერვალში მოითხოვა 389,784 მ. 96 კ. თანხა გაჭირვებულთა დასახმარებლად, რაიც შეწყნარებულ იქნა, მხოლოდ გაჭირვებულთა სიას უნდა გამოაკლდეს ის პირნი, რომელნიც მთავრობისგან დახმარებას იღებენ არა ნაკლებ 5 მანეთისა. ეს პირნი არიან ცოლშვილნი ომში წაყვანილ ჯარისკაცებისა და რომ ესენი სიიდან ამოშალეს, დიდად სამწუხაროა, რადგან მათში აუარებელი ოჯახია მეტად უმწეო მდგომარეობაში.

**დაჯილდოვებულ იქმნენ:**

წმ. ანნის მეორე ხარისხით და ხმლით თავადი კონსტანტინე **ნიჟარაძე**, ესაული გიორგი **ხუციაშვილი**.

წმ. ანნის მესამე ხარისხით და ხმლით რაჟდენ **ბაბუნაშვილი**, ნიკოლოზ **არსენაშვილი**.

წმ. ანნის მეოთხე ხარისხით ივანე **ქავთარაძე**, ალექსანდრე **ცქიტიშვილი**, გრიგორი **ფალავანდიშვილი**.

წმ. სტანისლავის მეორე ხარისხით და ხმლით პოლკოვნიკი ვახტანგ **ნაცვლიშვილი**, შტ. კაპ. ვასილი **კარგარეთელი**.

წმ. სტანისლავის მესამე ხარისხით პრაპ. ვლადიმერ **ცივცივაძე**.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

---

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 2 ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან . . . | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . . | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 , | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში , . . . | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 9 „ | 25 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან. . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან. . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | სად. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის** პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა.**

25—22

**სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი**

„**განათლება**“

**(წელიწადი მერვე)**

წლიურად ღირს **ოთხი** მანეთი, სოფლის მასწავლებლებისა და სამკითხველოებისათვის—**სამი** მანეთი.

**მისამართი:** თბილისი **ქართული გიმნაზია.**

P. S. საჭიროა გამოცდილი და დახელოვნებული ასოთ-ამწყობი, რომელსაც მიეცემა თვიურად რიგიანი ჯამაგირი.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

მესამე წელიწადია **სიღნაღში გამოდის** **ჯერჯერობით მხოლოდ კვირაობით პოპულიარული, სამეურნეო, პოლიტიკური გაზეთი**

**ხმა კახეთისა**

რედაქტორ-გამომცემელი **კ. ი. ტყავაძე.**

ფოსტის ადრესი: სიღნაღი, კ. ი. ტყავაძეს.

მეხილეთა ამხანაგობა

„**ქართლი**“

„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძიძიგურები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ძსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № [illegible]

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან